უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№5 (12) 2012

განახლებული სამკითხველო დარბაზები თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დამფუძნებლის ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღე, 23 აპრილი, პირველ კორპუსში ორი ახალი სამკითხველო დარბაზის გახსნით აღინიშნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის თქმით, სტუდენტებს ინფორმაციის თანამედროვე პირობებში მისაღებად ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის გარდა, ამ სამკითხველო დარბაზებში არსებული კომპიუტერული რესურსცენტრიც შეუწყობს ხელს.

"ტრადიციული, ნაბეჭდი წიგნით მომსახურების გარდა, მკითხველს შეგვიძლია ელექტრონული მომსახურება და ბაზები შევთავაზოთ. თანამედროვე საბიბლიოთეკო მოსახურებისათვის სპეციალური დარბაზი ასამდე კომპიუტერით აღიჭურვა. დაახლოებით ნახევარი წელია დავიწყეთ მუშაობა ელექტრონულ კატალოგზე, რომელშიც ჩვენი საბიბლიოთეკო ფონდის გარკვეული ნაწილი უკვე შესულია და მკითხველს სახლიდან გაუს-

გაგრძელება მე-2 გვ.

უნიკალური კვლევა საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების შესახებ

თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერებმა მოიძიეს და აღრიცხეს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მინერალური ნედლეულის 114 საბადო; ლაბორატორიულად შეისწავლეს თითოეული ქვის ქიმიური შემადგენლობა და შექმნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა. უნიკალური კვლევის შედეგების პრეზენტაცია 2012 წლის აპრილში უნივერსიტეტში გაიმართა.

10 აპრილს თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ბაზაზე შესრულებული და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების" პრეზენტაცია მოეწყო. ღონისძიებას დაესწრნენ თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური.

პროექტის ხელმძღვანელის ვაჟა გელეიშვილის ინფორმაციით, „მოსაპირკეთებელი ქვების მოცულობა მთელი მინერალური ნედლეულის მოცულობის 20 პროცენტს აღწევს და მისი ღირებულება დაახლოებით 20 მილიარდი დოლარია. ქართული ქვის პრიორიტეტი ისაა, რომ ის დაბალი რადიაციით ხასიათდება და საუკეთესო დეკორატიული და კარგი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით გამოირჩევა."

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა კვლევის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „განათლების სამინისტრომ წარმოდგენილი კვლევა 140 ათასი ლარით დააფინანსა. კვლევის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი პრაქტიკაში გამოყენებაც შეიძლება. საუბარია ინვესტორების მოზიდვაზე, კვლევის შედეგების სამშენებლო საქმიანობაში გამოყენებაზე."

გაგრძელება მე-2 გვ.

სტუდენტი-არქეოლოგები ვარძიაში

13-15 აპრილს, ვარძიაში ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების ორგანიზებით სტუდენტ-არქეოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. შეხვედრა ტრადიციული ხასიათისაა და ის უკვე მეოთხედ შედგა. აღგილიც უცვლელია. ვარძიას უკვე მეოთხე წელია ისტორიული ძეგლის ფუნქციის პარალელურად საკონფერენციო სივრცის ფუნქციაც ენიჭება.

ვარძიის ერთ-ერთ გამოქვაბულში მოწყობილ „საკონფერენციო დარბაზში" თბილისის, ლოძის, ვარშავის, ინსბრუკის, ოქსფორდისა და მიჩიგანის უნივერსიტეტების სტუდენტები ერთმანეთს არქეოლოგიურ გამოცდილებას უზიარებდნენ.

„თრიალეთის კულტურის ბრინჯაოს იარაღი ცირკუმპონტოს მეტალურგიული პროვინციის სისტემაში" (გვიად შერაზადიშვილი, თსუ), „რკინის მნიშვნელობა და მეტალურგია რომაულ იმპერიაში – ახალი პერსპექტივები" (სიმონ მოძოლევსკი, ვარშავა), „საველე ფიქსაცია და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდები არქეოლოგიაში" (ირაკლი სოზიაშვილი, თსუ), „ნიპურის ზიგურათის დასასრული?" (ბერნარდ შნეიდერი, ინსბრუკი) – ეს მხოლოდ ნაწილია სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თემებისა, რომლებიც ორიგინალურ გამოკვლევებს,

გაგრძელება მე-4 გვ.

ეთნოლოგიური კვლევისა და სწავლების კერა თსუ-ში

გვ. 3

ახალი შესაძლებლობები სტუდენტთა პრაქტიკული სწავლისა და დასაქმებისთვის

გვ. 2

არქეოლოგიური ექსპედიცია ხოვლეგორაგე

გვ. 4

თბილისის ეკოლოგიური გარემო – თსუ მეცნიერთა კვლევის შედეგები

პროექტი „ფოტოქიმიური სმოგის საარსებო გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესუსტება – ქ.თბილისის ეკოლოგიური გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ფაქტორი", თსუ გეოფიზიკის ინსტიტუტში შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. ადამიანის ჯანმრთელობაზე სმოგის ზეგავლენას მეცნიერთა ჯგუფი 2009-2011 წლებში სწავლობდა.

გვ. 3

პრემიერა თსუ სცენაზე

გვ. 4

სტუდენტური კონკურსები

3 აპრილს თსუ-ში სტუდენტური კონკურსის – „მისია 2012“ პრეზენტაცია გაიმართა. თსუ-ის სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარ-ში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები მარკეტინგულ პროექტებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. 2012 წელს კონკურსის თანაორგანიზატორი კომპანია „გეოპლანტი“ - ჩაის ქართული ბრენდი „გურიელია”.

პრეზენტაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და კომპანია „გეოპლანტის“ დირექტორი მიხეილ ჭკუასელი დაესწრნენ. კონკურსის მიზანი სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის გაზრდაა.

***

თსუ-მ გამოაცხადა შიდა შესარჩევი კონკურსი კომპანია “IDS ბორჯომი საქართველო”-ს მიერ ორგანიზებულ უნივერსიტეტთაშორის კონკურსში „ჩემი ბორჯომი“ მონაწილეობის მისაღებად.

შიდა კონკურსის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტში გამარჯვებული გუნდი, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან შერჩეულ გუნდებთან ერთად 15 მაისს გაემგზავრება ქ. ბორჯომში. კომპანია “IDS ბორჯომი საქართველო”-ს წარმომადგენლები მათ ბორჯომის ქარხანაში უმასპინძლებენ: დაათვალიერებენ ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანას და მინერალური წყლის საბადოს ინფრასტრუქტურას. საპრიზო ადგილის მფლობელები ფულადი ჯილდოებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

„პოლონეთი-საქართველო: პარტნიორობის 20 წელი“

22 მარტს თსუ-ში კონფერენცია – „პოლონეთი-საქართველო: პარტნიორობის 20 წელი“ გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებმა პოლონეთსა და საქართველოს შორის არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე წაიკითხეს მოხსენებები. ღონისძიებაში მონაწილეობა პოლონეთის ელჩმა საქართველოში ურშულა დოროშევსკამ და თსუ-ის რექტორის მოადგილემ ავთანდილ ჩუთლაშვილმა მიიღეს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამართლებრივ საკითხებზე

23 მარტს, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტმა თსუ-ის პარტნიორ ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. გაიმართა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ახალი სამართლებრივი ასპექტები”. კონფერენცია თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტსა და გრაცის უნივერსიტეტს შორის ერთი წლის წინ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა. გრაცის უნივერსიტეტიდან კონფერენციაში მონაწილება მიიღო რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის კვლევების ინსტიტუტმა (REEES).

ქართველ მეცნიერებსა და სტუდენტებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, მონტენეგროს, სერბეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, მოლდოვის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა.

ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები”

28 მარტს თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსიტუტში გაიმართა პრეზენტაცია კრებულისა – „ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“.

ჰაიფას უნივერსიტეტის პროფესორი თსუ-ში

2 აპრილს თსუ-ში ჰაიფას უნივერსიტეტის პროფესორმა, წიგნის “ტრუმენიდან ობამამდე” ავტორმა ავრაჰამ ბენ ზევიმ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: “აშშ-ის უცხოური პოლიტიკა ზოგადად და კონკრეტულად შუა აზიაში.” ლექცია თსუ-სა და ისრაელის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა.

ახალი შესაძლებლობები სტუდენტთა პრაქტიკული სწავლისა და დასაქმებისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკას და სტაჟირებას წამყვან საბანკო ინსტიტუტებში გაივლიან. შესაბამისი მემორანდუმი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან, საბანკო ასოციაციასთან და საბანკო ტრეინინგების ცენტრთან 24 აპრილს გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია, შეიქმნას სტაჟირების ხელსაყრელი პირობები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

„საბანკო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენი სტუდენტები მიიღებენ აუცილებელ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც მათ მომავალ საქმიანობაში დაეხმარებათ. იმედი გვაქვს, რომ მათი მოღვაწეობა ამ ბანკებში გაამართლებს და ეს პარტნიორობა წარმატებული იქნება როგორც ჩვენი სტუდენტებისთვის, ასევე ბანკებისთვის“ – აღნიშნა თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„საბანკო სექტორის ინტერესებში შედის, რომ პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მქონე სტუდენტები მოვიდნენ, იმისთვის რომ ისინი მომავალში გათვალისწინებულები იყვნენ სამომავლო თანამშრომლებად – განაცხადა საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ.

უნივერსიტეტი მსგავი მემორანდუმების გაფორმებას სხვა სამრეწველო თუ სავაჭრო ტიპის საწარმოებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთანაც გეგმავს. ამ გზით თსუ სტუდენტებს, ერთი მხრივ, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების საშუალება მიეცემათ, მეორე მხრივ კი – დასაქმების მეტი პერსპექტივა გაუჩნდებათ.

მემორანდუმებს უნივერსიტეტის სახელით ხელი მოაწერა თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, ბანკების მხრიდან კი მათი უმაღლესი მმართველობითი რგოლის წარმომადგენლებმა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს ბანკის“, „თი-ბი-სი ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“, „ბანკი რესპუბლიკას“, „პრივატ ბანკის“, „ვითიბი ბანკი – ჯორჯიას“, „ბაზის ბანკის“, ბანკი „კონსტანტას“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს“, ასევე საქართველოს ბანკების ასოციაციისა და საქართველოს საბანკო ტრეინინგების ცენტრის ხელმძღვანელებმა.

სტუდენტური სამეცნიერო კონკურსები თსუ-ში

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის სტუდენტებს სტუდენტურ სამეცნიერო კონკურსებში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ.

პრეზენტაცია ფაკულტეტზე 20 მარტს გაიმართა. სტუდენტებს შესთავაზეს მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური ინოვაციების კონკურსში, სტუდენტური ნაშრომების კონკურსსა და საერთაშორისო კონკურსში Microsoft Imagine Cup.

პირველი ორი კონკურსის ინიციატორია თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. კონკურსი მიზნად ისახავს კრეატიული სტუდენტების წახალისებას და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობას. მსგავსი კონკურსი ფაკულტეტზე პირველად იმართება. ნაშრომების შესაფასებლად შეიქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია. სტუდენტების ნაშრომები დაიდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და საჯარო იქნება. ეს საშუალებას მიცემს სტუდენტებს საკუთარი ნაშრომები და შესაძლებლობები ფართო საზოგადოებას გააცნონ. სტუდენტები თსუ-სგან წამახალისებელ პრიზებსაც მიიღებენ.

ფაკულტეტის სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსში Microsoft Imagine Cup. Imagine Cup არის კორპორაცია მაიკროსოფტის მიერ ორგანიზებული ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო IT კონკურსი, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიური გადაწყვეტის გზით, ურთულესი გლობალური პრობლემების მოგვარებაზე. მხოლოდ 2011 წელს მასში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტი ქვეყნის 325,000 სტუდენტმა. საქართველო წელს პირველად ჩაერთო Imagine Cup-ის საერთაშორისო კონკურსში. მისი პირველი, რეგიონული ეტაპი ჩატარდება ქვეყნის მასშტაბით, სადაც გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი, რომელიც 2012 წლის ივლისში გაემგზავრება სიდნეიში მსოფლიო ფინალში მონაწილეობის მისაღებად.

თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა სტუდენტებს აქტიურობისკენ მოუწოდა. „ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსია და ამ საკონკურსო ნაშრომებით შეიძლება დაინტერესდნენ სხვადასხვა კომპანიები, რაც სტუდენტებს დიდ წარმატებას მოუტანს“.

განახლებული სამკითხველო დარბაზები თსუ-ში

პირველი გვერდიდან

ვლელად შეუძლია დაადგინოს, არის თუ არა მისთვის საჭირო ლიტერატურა ჩვენს ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, უნივერისიტეტის თანამშრომლებისთვის მოქმედებს მომსახურების ახალი ფორმა, წიგნის ელექტრონულად დაჯავშნა. მისი მეშვეობით არა მხოლოდ სამკითხველო დარბაზებში, არამედ მთლიანად საუნივერისტეტო ბიბლიოთეკის საცავში დაცული წიგნების დაჯავშნაა შესაძლებელი. პირველად საქართველოში, ასლების დასამზადებელი უნიკალური აპარატით შესაბამისი ანაზღაურების ფასად მკითხველს შეუძლიათ თავად დაიმზადოს მისთვის სასურველი წიგნის ასლი”. – განმარტავს თსუ ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ გაიპარაშვილი.

მარო მაყაშვილის შედარებით მცირე დარბაზი პერიოდული გამოცემებისთვისაა განკუთვნილი, სადაც მკითხველს შეუძლია ქართულ და უცხოურ პრესას გაეცნოს. რუსთაველის სახელობის ცენტრალური სამკითხველო დარბაზში, რომელსაც სამასი მკითხველის მომსახურება შეუძლია, ძირითადად ჰუმანიტარული დარგის ლიტერატურაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, სამედიცინო და იურიდიული დარგის, ან სულაც საცნობარო ლიტერატურა, ენციკლოპედიები და ლექსიკონები.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საფუძვლად ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის პირადი არქივი დაედო. დროთა განმავლობაში, თსუ ბიბლიოთეკის ფონდს, დავით სარაჯიშვილის, სვიმონ და საბა კლდიაშვილების, პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, თეიო ჟორდანიას და სხვათა პირადი ბიბლიოთეკები შეემატა. თავისი პირადი ბიბლიოთეკის უნივერისტეტისთვის გადაცემის სურვილი გამოთქვა აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ბოლო შენაძენი კი აკადემიკოს შოთა მესხიას პირადი ბიბლიოთეკაა, რომელიც ალექსანდრე კვიტაშვილის ოჯახმა უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა. ანდრია აფაქიძის ბიბლიოთეკა უსახსოვრა ასევე უნივრსიტეტს მისმა შვილიშვილმა პიანისტმა დუდანა მაზმანიშვილმა.

დღეს თსუ ბიბლიოთეკა მილიონობით საბიბლიოთეკო ერთეულს ითვლის.

2008 წელს ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ასოციაცია „ატუმ“ დაიწყო პირველი კორპუსის რეკონსტრუქცია. პროექტის მთავარი არქიტექტორია ელგუჯა ოსეფაიშვილი. ინტერიერის დიზაინის პროექტის შექმნაში მონაწილეობდა გერმანული კომპანია „Ellis Williams Architects“. პირველი კორპუსის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ბიბლიოთეკამ განსაკუთრებული ადგილი კვლავ ისტორიულ შენობაში დაიკავა.

უნიკალური კვლევა საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების შესახებ

პირველი გვერდიდან

თსუ რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით „თსუ მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი კვლევაც საკმაოდ წარმატებულია. აქამდე არ არსებობდა ქვეყანაში არსებული მინერალური სიმდიდრეების სრული აღწერა. კვლევის შედეგად შედგა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების სრული რეესტრი. ინსტიტუტს შეუძლია უამრავ პროექტსა და ტენდერში მონაწილეობის მიღება. საუბარია გარკვეული სახის კომერციულ პროექტებში მონაწილეობაზეც. ჩვენ სრულად უნდა გამოვიყენოთ ის ანალიტიკური და ინფორმაციული პოტენციალი, რომელიც თსუ-სა და მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს გააჩნია.“

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 2 წიგნი „საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვები“. თვალსაჩინოებისთვის გამოიფინა მარმარილო, გამარმარილებული კირქვები, ანდეზიტები, ტუფები და სხვა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი კვლევითი ინსტიტუტია, რომელიც მინერალური ნედლეულის კვლევა-შესწავლას ახორციელებს. ინსტიტუტს დიდი შესაძლებლობები გააჩნია უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ადგილობრივი სამშენებლო სამუშაოების (ჰესების, გვირაბების, ხიდების, საცხოვრებელი კორპუსების) წარმოებაში.

ეთნოლოგიური კვლევისა და სწავლების კერა თსუ-ში

2012 წლის აგვისტოში თსუ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სტუდენტთა და პროფესორთა ერთობლივ საველე სამუშაოებსა და კონფერენციას გამართავს. ეს მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება იმ ღონისძიებების, რომელსაც ინსტიტუტი ბოლო წლებში ახორციელებს.

ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის ერთობლივი პირველი სიმპოზიუმის „კავკასია, კონფლიქტი, კულტურა: სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში კონფლიქტების ანთროპოლოგია და პრევენცია“ გაიმართება. პროექტი სწორედ ახლახანს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ დაფინანსდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის კათედრის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. კათედრა დამოუკიდებელ სამეცნიერო ერთეულად 1939 წლიდან არსებობს. თსუ-ში ეთნოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრში მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ეთნოლოგები, როგორიც იყვნენ ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ეთნოლოგიურ სამეცნიერო წრეებში (უნიკალურადაა აღიარებული მის მიერ შემუშავებული საველე კვლევის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი); მიხეილ გეგეშიძე, რომლის ნაშრომებმა და ნააზრევმა ეთნიკური კულტურისა და ეთნო-ეკოლოგიური ცოდნის შესახებ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, გერცელ ჩაჩაშვილი, ანდრო ლეკიაშვილი, სოსო ჭანტურიშვილი და სხვები.

უნივერსიტეტი ამ ტრადიციას დღეს ღირსეულად აგრძელებს. 2007 წლიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში გაიხსნა ჯერ საბაკალავრო პროგრამა „ეთნოლოგია“ (ძირითად სპეციალობაზე 25 სტუდენტი), შემდეგ სამაგისტრო პროგრამები „ეთნოლოგია“ (8 მაგისტრანტი) და „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია“ (3 მაგისტრანტი) და სადოქტორო პროგრამა „ანთროპოლოგია“ (6 დოქტორანტი). ერთი შეხედვით მცირე რესურსების მქონე ეთნოლოგიის ინსტიტუტი საკმაოდ აქტიურია როგორც სასწავლო ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებს ის გრანტები, სახელმძღვანელოები თუ უამრავი საერთაშორისო კონფერენცია რომელიც მათი ხელმძღვანელობით ხორციელდება.

ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში მომზადდა 4 სახელმძღვანელო. დაიბეჭდა 60–ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია; ინსტიტუტის თანამშრომლები ამჯერად მონაწილეობენ და წარმართავენ 3 მიმდინარე საგრანტო პროექტს (მათგან ორი უცხოური დონორი

ორგანიზაციების მიერ არის დაფინანსებული). ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე (50–ზე მეტი) და ამავე დროს თავად არიან ორგანიზატორები სამეცნიერო და სასწავლო საერთაშორისო ღონისძიებისა (15), რომლებშიც აქტიურად არიან ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტები ჩართულნი.

ეთნოლოგიური დისციპლინის თავისებურებებიდან გამომდინარე, სწავლებისა და კვლევის კურსი საველე ეთნოგრაფიული კლევის წარმოებას გულისხმობს. ამიტომ, საველე ექსპედიციები ჩართულია სასწავლო პროგრამაში, სპეციალური კურსების – „პრაქტიკა 1“ და „პრაქტიკა 11“ სახით. იანვარსა და აგვისტოში იმართება სტაციონარული ორკვირიანი ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამასთან

ერთად სემესტრის მანძილზე ტარდება პრაქტიკა. ამ დროს სტუდენტები თეორიულად ნასწავლ ეთნოლოგიურ მეთოდებს პრაქტიკულად ახორციელებენ.

ამას გარდა, ინსტიტუტის პროფესორთა რეკომენდაციით ეთნოლოგია–ანთროპოლოგიის მიმართულების სტუდენტები ერთვებიან საერთაშორისო პროექტებში საველე მკვლევართა ასისტენტების სტატუსით, იღრმავებენ პრაქტიკულ ცოდნას და იღებენ ველზე უცხოელ მკვლევართან მუშაობის უნიკალურ გამოცდილებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ექსპედიციები ხშირია, რომელიც სხვადასხვა რეგიონებში ეწყობა, ესენია: ზემო აჭარა (ხიხაძირის ხეობა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი (თეძამი, ძამასა, ტანას ხეობები), აჭარა (სოფ.სარფი), ხევსურეთი, ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი), კახეთი (გურჯაანი, სიღნაღი, თელავი) და ა.შ.

„ვერცერთი ქართველოლოგიური მიმართულების მქონე ფილოლოგიური, ისტორიული თუ ინტერდისციპლინური პროგრამა ვერ იქნება სრულყოფილი ეთნოლოგიური ცოდნის ჩართვის გარეშე. სწორედ მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასლაა ის უნიკალური განძი რაც საინტერესოს და მიმზიდველს ხდის საქართველოსა და ზოგადად კავკასიას მსოფლიოსათვის. ამ უნიკალურ ცოდნას შენახვა-გადაცემა სჭირდება. ამ ცოდნის ფლობის გამო იწვევენ დაინტერესებული სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს ექსპერტებად“ – აცხადებს თსუ-ის სრული პროფესორი, ეთნოლოგი ქეთევან ხუციშვილი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეთნოლოგია დღეს აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში. ეთნოლოგია – ანთროპოლოგიის მიმართ გაზრდილია ინტერესი დასავლეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში. ეს მზარდად ინტერდისციპლინური დარგი, თავისი უნიკალური მეთოდიკითა და თეორიული მიდგომებით, ძალიან აქტუალურია თანამედროვე საუნივერსიტეტო სივრცეში.

თბილისის ეკოლოგიური გარემო – თსუ მეცნიერთა კვლევის შედეგები

ალბათ ცოტამ იცის სიტყვა “სმოგის” მნიშვნელობა. შესაძლოა გაგვიგია, ვიცით, რომ სასარგებლო არ არის, თუმცა, რა გავლენას ახდენს იგი ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე, კიდევ უფრო ნაკლებს შეუძლია თქვას. სმოგი ყველა განვითარებული, ინდუსტრიული ქალაქისათვისაა დამახასიათებელი და როგორც ირკვევა, მისი სხვადასხვა ტიპებიც არსებობს. მაგალითად, “ლონდონური სმოგი” “თბილისური სმოგისგან” განსხვავებული ყოფილა. სმოგთან ბრძოლა სხვადასხვა ხერხებით არის შესაძლებელი და საჭირო. ერთ-ერთი საშუალება, შესაძლოა, ჩვეულებრივი შადრევანიც იყოს. სმოგთან დაკავშირებულ ამ და ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხში გარკვევა დაინტერესებულებს წიგნის: “ფოტოქიმიური სმოგი თბილისში”, საშუალებით შეუძლიათ. მისი ავტორები თსუ-ის მეცნიერები: ავთანდილ ამირანაშვილი, თეიმურაზ ბლიაძე და ვიქტორ ჩიხლაძე არიან.

პროექტი „ფოტოქიმიური სმოგის საარსებო გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესუსტება – ქ.თბილისის ეკოლოგიური გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ფაქტორი“, თსუ გეოფიზიკის ინსტიტუტში შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. ადამიანის ჯანმრთელობაზე სმოგის ზეგავლენას მეცნიერთა ჯგუფი 2009-2011 წლებში სწავლობდა.

კვლევის შედეგად ფოტოქიმიური სმოგის წარმოშობის პირობები, მისი კომპონენტების (ოზონი, აეროზოლი და სხვა) და ატმოსფეროს სხვა პარამეტრების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ეფექტები განისაზღვრა. პროექტის ავტორებმა ქალაქის მოსახლეობაზე სმოგის ნეგატიური ზემოქმედების შესარბილებლად რეკომენდაციებიც შეიმუშავეს.

მეცნიერთა განმარტებით, ატმოსფეროში, დედამიწის ზედაპირთან არსებული ვითარებისა და ჰაერის დაჭუჭყიანების შესაბამისად, სმოგის სხვადასხვა ტიპი შეიძლება წარმოიქმნას. მაგალითად, ჩვეულებრივი “ლონდონური სმოგი”, ნისლის, ბოლის, საწარმოო აირების შეერთების შედეგია. ამ ტიპის სმოგი თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქალაქში არსებობს. სხვა ტიპის სმოგის მსგავსად წყნარი ამინდისას მასში შემავალი მავნე კომპონენტების კონცენტრაცია უფრო მაღალი და შესაბამისად უფრო საშიშია. იმდენად საშიში, რომ სიკვდილიანობასაც კი იწვევს. საერთოდ, სმოგის ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის მხრივ, პირველ რიგში გამოსაყოფია სასუნთქი გზების და გულთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც უფრო მეტად ბავშვებში, ხანშიშესულ და ქრონიკული დაავადებებით დასუსტებულ ადამიანებში იჩენს თავს.

“საქართველოში არსებული ატმოსფერული დაბინძურების მდგომარეობა არსებითად განსხვავდება განვითარებულ ქვეყნებში არსებულისგან. უხარისხო საწვავის გამოყენება, რელიეფის, ჰაერის მასების დინამიკის და მიკროკლიმატური პირობების თავისებურებები, ტექტონიკური რღვევები და სხვა გარემოებები განაპირებს ფოტოქიმიური სმოგის წარმოშობას, რომელიც თავისი კომპონენტებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ანალოგიური სმოგისგან განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომ მიწისპირა ოზონის ზღვრული დასაშვები ნორმების დაზუსტება, რომელიც ფოტოქიმიური სმოგის ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს ჩვენი პირობებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.” – განმარტავს პროექტის ხელმძღვანელი, მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი ავთანდილ ამირანაშვილი, რომელმაც კოლეგებთან ერთად სმოგის შემადგენელი კომპონენტების შესწავლა ჯერ კიდევ 27 წლის წინ დაიწყო.

ავთანდილ ამირანაშვილის თქმით, ბოლო პერიოდში სმოგის მიზეზით სიკვდილიანობის მაჩვენებლებმა თბილისში იმატა. აღრე ეს რიცხვი ოზონის დონის 80 ან მეტი მგრ/მ^3 მომატებისას იზრდებოდა. თუმცა, 2009-2010 წლებში სიკვდილიანობის მატება ატმოსფეროში ოზონის შემცველობის 50 მგრ/მ^3 კონცენტრაციისას დაფიქსირდა. ანუ ბოლო პერიოდში მისი ნაკლები კონცენტრაცია უფრო მომაკვდინებელი გახდა.

ამიტომ, მეცნიერების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი, სმოგის მომატებული ფონის შესახებ შეტყობინების სისტემის დანერგვაა. მეცნიერთა აზრით, მაგნიტური დღეების მსგავსად შესაძლოა სამიზნე აუდიტორიისათვის იგივე პრაქტიკა მომატებული სმოგის დროსაც განხორციელდეს. ჯანმრთელობის თვალსაზრისით გარკვეული რისკ-ფაქტორის მქონე ადამიანებს სახლში დარჩენა ან სხვა ზომების მიღება შეიძლება ერჩიოთ.

გეოფიზიკის ინსტიტუტში წარმოებული კვლევების შედეგად ატმოსფეროში მოსალოდნელი ცვლილებების წინასწარი განსაზღვრაა შესაძლებელი. სმოგის ჯანმრთელობისათვის საშიში ოდენობის პროგნოზირება თსუ მეცნიერებს 12 და 3-4 საათით აღრე შეუძლიათ. თუმცა, ამის განხორციელება გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული. შესაბამისი მონაცემების დასამუშავებლად და გასავრცელებლად სპეციალისტთა სულ მცირე 5-6 კაციანი ჯგუფია საჭირო.

შემდგომი რეკომენდაცია თბილისში ან მის სიახლოვეს გარკვეული სარეკრეაციო-დასასვენებელი ადგილების შექმნაა. ტყიანი ადგილები ჰაერის იონიზაციას უწყობს ხელს და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ძალზე სასარგებლოა. ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად მსგავსი რეკრეაციული ზონისათვის ბოტანიკური ბაღია. წარმოებული გაზომვებისას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა რამდენიმე ზონა დააფიქსირეს, სადაც ქალაქში არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, თავისუფალი იონების ძალზე მაღალი დონე იყო. იონიზაციის ერთ-ერთი საშუალება ასევე ჰიდრო იონიზაციაა, როდესაც იონების გამოყოფა წყლიდან მისი სწრაფი მოძრაობისას ხდება. სხვათა შორის, ამას ხელს ხელოვნური შადრევნებიც უწყობს, რადგან იგი ერთდროულად წმენდს ჰაერს და ქმნის იონებს.

საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა

25 აპრილს თსუ-ში საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკების პრეზენტაცია გაიმართა. სამეცნიერო პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბაზაზე განხორციელდა.

საქართველოსა და მისი რეგიონების დეტალური რუკები და შესაბამისი მონაცემთა ბანკი მსოფლიოში აპრობირებული, ახალი ტექნოლოგიების (IT) გამოყენებით შეიქმნა. მეცნიერთა განცხადებით, ასეთი მასშტაბის, სიზუსტისა და დეტალურობის მქონე რუკა დღემდე არ შედგენილა. რუკებზე მოცემულია ინფორმაცია მდებარეობის, რელიეფის, გეოდინამიური პროცესების, ნიადაგის, ლანდშაფტის სტრუქტურის, ატმოსფერული ნალექების, მცენარეული საფარისა და ტყის ტიპის შესახებ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის განცხადებით, ახალი რუკები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული და შემეცნებითი მიზნებისთვის. სულხან სისაურის თქმით, რუკები და შესაბამისი მონაცემთა ბაზა საინტერესო იქნება სამშენებლო, საკადასტრო, სოფლის მეურნეობის, სატყეო, ტურიზმის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ პირებისა და კომპანიებისათვის.

სამწლიანი სამეცნიერო კვლევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 150 000 ათასი ლარით დაფინანსდა.

„ისწავლე ესტონეთში“

3 აპრილს თსუ-ში ესტონეთის უნივერსიტეტების საინფორმაციო სესია “ისწავლე ესტონეთში“ ჩატარდა. სესიაზე წარმოდგენილი იყო სტუდენტური ფილმები, ფოტოგამოფენები, ღია ლექციები, სემინარები, რომელიც ესტონეთში სწავლის პერსპექტივას ასახავს. ღონისძიების მონაწილეებს თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და ესტონეთის ელჩი საქართველოში ტომას ლუკი მიესალმნენ.

რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია

3 აპრილს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია „ენა. ლიტერატურა. კულტურა. ისტორია. ფილოსოფია: ტექსტზე ორიენტირებული კვლევები.“ კონფერენცია პროფესორ ვიოლა ფურცელაძის 85 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ვიდეოკონფერენცია ამერიკელ და ქართველ სტუდენტებს შორის

4 აპრილს თსუ-ში ამერიკელ და ქართველ სტუდენტებს შორის ვიდეოკონფერენცია შედგა. ვიდეოკონფერენციის თემა „მოქალაქეობა დემოკრატიაში – რას ნიშნავს თქვენთვის არჩევნებში მონაწილეობა?“ იყო. ვიდეოკონფერენციის მიზანი არჩევნებსა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ამერიკელ და ქართველ სტუდენტებს შორის დისკუსიის გამართვა, მათში მოტივაციის გაზრდა, საქართველოში IFES-ის და Rutgers-ის პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის არსებული ურთიერთობის განვითარება იყო. ღონისძიების ორგანიზატორები არიან თსუ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, USAID, IFES საქართველო იყვნენ.

ნატოს წარმომადგენლის ვიზიტი თსუ-ში

4 აპრილს, ნატოს 63-ე დაარსების დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე ბათუ ქუთელია და ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუსი ეწვივნენ. ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე „ნატო დღეს“. უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე ნატოს ალიანსის ისტორიასა და ნატო-საქართველოს ოცწლიან თანამშრომლობსა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხზე ისაუბრეს.

„ჰოლოკოსტის ისტორია და მისი გაკვეთილები დღევანდელი მსოფლიოსთვის“

20 აპრილს თსუ-ში აშშ-ის ჰოლოკოსტის მემორიალური მუზეუმის დირექტორის რობერტ ბაკლის საჯარო ლექცია გაიმართა. ლექციის თემა: “ჰოლოკოსტის ისტორია და მისი გაკვეთილები დღევანდელი მსოფლიოსთვის” იყო. რობერტ ბაკლიმ და მისმა კოლეგებმა შეხვედრაზე დამსწრეთ ჰოლოკოსტის შესახებ ჩატარებული საკუთარი კვლევის შედეგები გააცნეს.

სახელმწიფო ანტინარკოტიკული პროგრამის პრეზენტაცია

20 აპრილს თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ უნივერსიტეტის სტუდენტებს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ პროგრამა გააცნო, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პროექტის განხორციელება იგეგმება. კამპანიაში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს პარლამენტი, მთავრობა, პროკურატურა, თბილისისა და სხვა რეგიონული თვითმმართველობები, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც შეუერთდა.

“შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში”

20 აპრილს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში”.

არქეოლოგიური ექსპედიცია ხოვლეგორაგე

24 აპრილს ხოვლეგორაზე მორიგი აღმოჩენები გაკეთდა – ძვ.წ.აღ მეორე ათასწლეულის მიწურულის ფილებით მოპირკეთებული ფერდობი, ძვ.წ.აღ პირველი ათასწლეულის სასიმაგრო კედელი – ქვის გალავანი, რომელიც სავარაუდოდ მთლიანად აკრავდა ნამოსახლარს და ამავე პერიოდის შენობათა ნაშთები. – ეს მხოლოდ ნაწილია იმ სიძველეებისა, რომელიც ხოვლეგორაზე განახლებული გათხრების შედეგად აღმოაჩინეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიური მიმართულების სტუდენტებმა და პროფესორებმა სოფელ ხოვლეში, ხოვლეგორის გათხრები განაახლეს. ექსპედიციის ხელმძღვანელები არიან თსუ პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი ვალტერ კუნტნერი. გათხრებზე ქართველ სტუდენტებთან ერთად ინსბრუკის (ავსტრია) უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორმასწავლებლებიც მუშაობდნენ. ჩამოთვლილი სიძველეების გარდა, გაითხარა სამეურნეო დანიშნულების ორი ორმო, რომელიც არქეოლოგთა ვერსიით, მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. გამოიკვეთა შენობის ნაშთი, რომელიც ექსპედიციის მონაწილეთა ვარაუდით ან საცხოვრებელი ოთახის, ან საკულტო დანიშნულების ნაგებობაა, რომელშიც სანაცრე ადგილია გამოყოფილი. აქვე იკვეთება „იატაკის“ 4 ფენა, რაც ხოვლეგორაზე ხანგრძლივი ცხოვრების არსებობაზე მიუთითებს. არქეოლოგების ეს ექსპედიცია მოკლევადიანი იყო. ისინი ნამოსახლარის ტექნიკურ ანალიზის გაკეთებით შემოიფარგლნენ. როგორც გათხრების ხელმძღვანელები ამბობენ, აქ აღმოჩენილი მასალა წინაპირობაა ფართო მასშტაბიანი ექსპედიციის დასაწყებად.

არქეოლოგიურ გათხრებს ხოვლეში დიდი ხნის ისტორია აქვს. საველე სამუშაოები 60 წლის წინ დაიწყო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თსუ პროფესორი გურამ გრიგოლია და არქეოლოგი დავით მუსხელიშვილი. სწორედ ამ დროს გაკეთდა უნიკალური აღმოჩენები. ჯერ კიდევ პირველი არქეოლოგიური გათხრების მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ხოვლეგორას ძალიან დიდი არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. აქ ცივილიზაციის განვითარების უწყვეტი ჯაჭვია მოცემული; ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის უამრავი ნივთია აღმოჩენილი. ნაპოვნია საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა, რომელიც კულტურის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. არქეოლოგების შეფასებით ხოვლეგორაში არსებული სატაძრო-საკულტო, აგრეთვე საცხოვრებელი ნაგებობები ხუროთმოძღვრების ძეგლებია.

სტუდენტი-არქეოლოგები ვარძიაში

პირველი გვერდიდან

ექსპედიციაში მონაწილეობასა და აღმოჩენების შეფასებას ეყრდნობა.

მომხსენებლებთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, წელს 25-მდე მომხსენებელი იყო, მათ შორის ჭარბობდნენ თსუ-ის სტუდენტები, რომლებმაც წლების განმავლობაში ველზე დაგროვილი გამოცდილება უცხოელ კოლეგებს გააცნეს.

კონფერენციის ორგანიზატორი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელია, რომელსაც თანაორგანიზატორობას უწევს ოქსფორდის უნივერსიტეტის ასევე არქეოლოგიის მიმართულების პროფესორი მაიკლ ვიკერსი.

„ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ გავზარდოთ კონფერენციის მონაწილე სტუდენტთა, ქვეყანათა და უნივერსიტეტების რაოდენობა. მსგავსი შეხვედრები საუკეთესო შესაძლებლობაა მომავალი არქეოლოგებისთვის, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და შეიძინონ მნიშვნელოვანი საერთაშორისო კავშირები“. – განაცხადა კონფერენციის მიზნების კომენტირებისას პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

კონფერენცია გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგის, სტრატიგრაფიული მეთოდის ფუძემდებლის პიტ რივერსის ხსოვნას მიეძღვნა.

სტუმრებისთვის ვარძიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, ექსკურსიაც მოეწყო. კონფერენციის ბოლოს ყველა მონაწილე სტუდენტმა „კონფერენციაში მონაწილეობისთვის“ დიპლომი მიიღო. დაიგეგმა ვარძიაში წარმოდგენილი თემების ბეჭდური ვერსიის გამოცემაც.

კონფერენციის მონაწილეები ბერთაყანაში

პრემიერა თსუ სცენაგე

22-23 მარტს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა სპექტაკლის პრემიერა. თსუ თეატრალურმა დასმა „სხვენი“ გიორგი კაჭარავას რომანის მიხედვით დადგმული პიესა „განკითხვის დღე“ წარმოადგინა.

სპექტაკლის რეჟისორი და სცენარის ავტორია გიორგი გომურაშვილი. “სცენარი სტუდენტების თხოვნით დავწერე. რომანიდან სცენარში შევიტანე ის ძირითადი პრობლემები და საინტერესო მომენტები, რაც დღევანდელი თაობისთვის აქტუალურია. სპექტაკლი იმ ადამიანებზეა, ვინც ვერ აცნობიერებს, რა მისია აკისრია ამქვეყნად და მათ მთავარ საზრუნავს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა წარმოადგენს.”

სპექტაკლის პრემიერამ წარმატებით ჩაიარა და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა

რეჟისორმა გიორგი გომურაშვილმა აღნიშნა, რომ მათ უკვე დაიწყეს ახალ დადგმებზე მუშაობა და მაისში გაიმართება ახალი სპექტაკლის პრემიერა. “ჩვენ უკვე დავიწყეთ რეპეტიციები დავით კლდიაშვილის მოთხრობის “სამანიშვილის დედინაცვალი” მიხედვით შექმნილ პიესაზე. გარდა ამისა, ვმუშაობთ იუმორისტულ პროგრამაზე, რომელსაც აგრეთვე მაისში წარვუდგენთ ჩვენს მაყურებელს. ვინაიდან ჩვენმა სპექტაკლმა ასეთი დაინტერესება გამოიწვია, გვინდა რომ ის უფრო ფართო საზოგადოებას გავაცნოთ. ვგეგმავთ ჩვენი სპექტაკლი სხვადასხვა თეატრებში, მაგა-ლითად მარჯანიშვილის თეატრში, წარვად-გინოთ. აგრეთვე ვაპირებთ მის გატანას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში” – ამბობს გიორგი გომურაშვილი.

თეატრალურ „სხვენს“ უკვე რამდენიმეწლიანი ისტორია აქვს – 2000 წლის 15 სექტემბერს რეჟისორების – გიორგი გომურაშვილის, მამუკა გურჩიანისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით დაარსდა თსუ პლასტიკის თეატრი „სხვენი“. მისი მსახიობები, ძირი-თადად, სტუდენტები არიან. თსუ სააქტო დარბაზის სხვენი კულტურის ცენტრის ხელშეწყობითა და მსახიობების ძალისხმევით გარემონტდა. სახელწოდებაც აღგილმდებარეობის მიხედვით შეირჩა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge